სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 აპრილი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/70

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ანა ახვლედიანის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/19 დადგენილება), **ანა ახვლედიანის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის № 01-08/513 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №06-01/24 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/13 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (07.04.2025, ოქმი N22-20/3) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (MES 6 25 0000397267, 10/04/2025)

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ანა ახვლედიანის** სადისერტაციო ნაშრომის **„YouTube-ის ვიდეო კომენტარების ენობრივი სპეციფიკა და მისი გამოხატვის ძირითადი ხერხები (ინგლისურენოვან და ქართულ ვიდეო კომენტარების მასალაზე დაყრდნობით)** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2025 წლის 25 აპრილს, 14:00 საათზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ფილოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ნატალია სურგულაძე -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);
2.2. ნათელა ფარტენაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი (**მდივანი**);
2.3. ნინო დვალიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ნათია ქათამაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.5. ივდით დიასამიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.6. ლალი თავაძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. მერაბ ახვლედიანი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ. კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**